განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

შეფასების თარიღი
08.04.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

27.05.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა/ MA Security Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი / MA of Security Studies
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	უსაფრთხოების კვლევები 0312.2.2.
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა/ MA Security Studies შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). 1 კრედიტი უდრის 25 საათს (რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები). საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 2 წელი. პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან. მათ შორის, სავალდებულო სასწავლო კურსები 96 კრედიტი (მათ შორის 30 კრედიტი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი.), არჩევითი სასწავლო კურსები 24 კრედიტი. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს მეთოდოლოგიურ სასწავლო კურსებს („აკადემიური წერა“,5 ECTS; „კვლევის მეთოდები“,6 ECTS) და კვალიფიკაციის შესაბამის სასწავლო კურსებს: (სტრატეგიის საფუძვლები (6 ECTS), საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები (5 ECTS), საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა (6 ECTS), დაზვერვის საფუძვლები(5 ECTS), ამერიკის საგარეო პოლიტიკა(5 ECTS), რუსეთის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება(5 ECTS), შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება (6 ECTS), სახელმწიფო უსაფრთხოება(6 ECTS), ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა(6 ECTS), ჰიბრიდული ომი(5 ECTS),) და სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS). პროგრამის არჩევითი ბლოკი შედგება უსაფრთხოების თემატიკასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი თემატიკის სასწავლო კურსებისგან (თითოეული 4 ECTS).

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; საერთო სამაგისტრო გამოცდა; მისაღები გამოცდა სპეციალობაში; ინგლისური ენის გამოცდა (CEF B2 ან STANAG 2;2;2;2; ან ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი).

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის, უსაფრთხოების სექტორის, სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედ თანამშრომლებს. იუნკერთა ჩასარიცხ ადგილებზე კვოტების განაწილება რეგულირდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.

პროგრამის ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის ძალები და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოახდინა წინასწარი მიგნებების ურთიერთგაზიარება.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სამი წევრის შემადგენლობით პროგრამის დისტანციური შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, განახორციელა ამა წლის 8 აპრილს. ინტერვიუები შედგა დღის წესრიგით გაწერილ პერსონალთან: უსდ და ფაკულტეტის ადმინისტრაცია; პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი; ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები; მატერიალურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირები; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები; დამსაქმებლები. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა 3 სამაგისტრო ნაშრომი მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამიდან.

ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. მათ შორის: უსდ გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვების/კოლეგიალური შეფასების ანკეტა, ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი, ჩატარებული კონფერენციებისა და გამოქვეყნებული პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მომიჯნავე პროგრამის სასწავლო პროგრამაზე მისაღებ კანდიდატთა ტესტირების მარეგულირებელი დოკუმენტი, საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებული მემორანდუმები და დოკუმენტაცია, პროგრამის შიდა და გარე შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ხარვეზების გარეშე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1.1 პროგრამის მიზნები - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.3 სასწავლო კურსი - **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2.6. სტუდენტების შეფასება - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.3 მატერიალური რესურსი - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.2 გარე ხარისხის შეფასება - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია შეიცვალოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილის ფორმულირება.
2. უნდა განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის ცვლილება საერთაშორისო სამართლის და რეგიონული უსაფრთხოების სასწავლო კურსების დამატებით და/ან არჩევითი ნაწილიდან გადმოტანით და/ან არსებულ სასწავლო კურსებში აღნიშნული თემატიკის გაძლიერებით პროგრამის შედეგებთან შესაბამისობისთვის.
3. სამაგისტრო პროგრამის შედეგები ითვალისწინებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს. პროგრამის წარმოდგენილი სტრუქტურა ვერ ადასტურებს შედეგის ამ კომპონენტზე გასვლას. უნდა მოხდეს პროგრამის სტრუქტურის ცვლილება აღნიშნულ შედეგთან შესაბამისობისთვის.
4. პროგრამის სტრუქტურას უნდა დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამის შედეგებში ასახული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, რეკომენდაციებისა და ინიციატივების მომზადების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.
5. უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურა: ზოგადი თეორიული სასწავლო კურსები წინ უნდა უძღოდეს ქვეყნის/რეგიონის უსაფრთხოების შემსწავლელ სასწავლო კურსებს.
6. უნდა განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები შემდეგ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში: „დაზვერვის საფუძვლები“, „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“, „სტრატეგიის საფუძვლები“, „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, „სახელმწიფოს უსაფრთხოება“, „აკადემიური წერა“, „კვლევის მეთოდები“, „საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი“, „ცივი ომი“.
7. უნდა მოხდეს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამართვა ლიტერატურის მითითების აკადემიური წესის დაცვით. სავალდებულო/არჩევით სასწავლო კურსებში, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე მოითხოვს მიმდინარე უახლესი ინფორმაციის გაცნობას, უნდა დაერთოს სხვადასხვა აქტუალური ინტერნეტ ლინქები ძირითად და/ან დამხმარე ლიტერატურაში.
8. სავალდებულო/არჩევით სასწავლო კურსებში, რომლის სწავლის შედეგები ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდების და შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება, აღნიშნული შედეგის მისაღწევად.
9. უნდა მოხდეს სწავლა-სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება სასწავლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობისთვის
10. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნეს ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმები და რუბრიკები.
11. სასწავლო კურსების „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა“ და „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის“ სილაბუსებში შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს კურსების შეფასების სისტემასთან.
12. სავალდებულო სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე; ფინალური თეორიული გამოცდა ჩანაცვლდეს დამოუკიდებელი მინი კვლევითი ნაშრომით ან კვლევის გეგმით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას.
13. უსდ-მ პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის უზრუნველყოს ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა.
14. რეკომენდებულია აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ დოკუმენტურად დადასტურებული შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის მიზნების ფორმულირების რედაქტირება, მიზნების შინაარსობრივი დაყოფა პროგრამის სასწავლო მიზნების უფრო ნათლად აღსაქმელად.
2. სასურველია სასწავლო პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ასახვა.
3. სასურველია სპეციალობის მისაღები საგამოცდო ტესტის შედგენის პროცესში გათვალისწინებულ იქნას, რომ ტესტი ასახავდეს პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული სასწავლო კურსების დაძლევისთვის აუცილებელ დარგობრივ ცოდნას და კვლევით უნარებს, სასურველია ტესტისთვის მომზადების ინსტრუქცია და ტესტის შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს დეტალურად და იყოს წვდომადი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
4. სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული არც ერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს სასწავლო პროგრამის აქტუალურობის ნაწილში ხაზგასმული უწყებათა კოორდინირებული მუშაობით კრიზისზე რეაგირების უნარის გამომუშავებას. სასურველია, პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსის სახით შესაბამისი სასწავლო კურსი და/ან არსებული/სამომავლო მემორანდუმების საფუძველზე მოხდეს მოკლევადიანი პრაქტიკის დაგეგმვა, როგორც კურიკულუმის ნაწილი, ან კურიკულუმს მიღმა აქტივობა.
5. მისასალმებელია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო/არასაკონტაქტო საათების, ასევე ლექცია/სემინარების თანაფარდობის არაუნიფიცირებული სახე, თუმცა სასურველია აღნიშნული თანაფარდობის დადგენა მოხდეს უპირველეს ყოვლისა სასწავლო კურსის საჭიროებიდან გამომდინარე.
6. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომში ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს მიეცეს დამატებითი სემესტრის გავლის უფლება.
7. სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების წამკითხავი სადოქტორო ხარისხის მქონე ან დოქტორანტი ლექტორები, რაც გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამას.
8. სასურველია უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალს ჩაუტაროს დამატებითი ტრენინგი სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით.
9. სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესება: ონლაინ-კატალოგის შექმნა, ელ-ბაზების გამრავალფეროვნება/გაფართოება, სტუდენტების წახალისება გამოიყენონ Evergreen შესაძლებლობები, აკადემიურ ელ-ბაზებზე დისტანციურ რეჟიმში წვდომა ონლაინ სწავლების პირობებში.
10. სასურველი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო უსდ-ს საერთაშორისო კავშირები და მომხდარიყო გარე შეფასება უცხოელი სამოქალაქო აკადემიური სფეროს ექსპერტის მიერ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების, ასევე ლექცია/სემინარების თანაფარდობის არაუნიფიცირებული სახე.
2. ინგლისურენოვანი ლიტერატურის მრავლობითი გამოყენება როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებში, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით ლიტერატურაში.
3. მისასალმებელია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც უსდ სტუდენტს უზრუნველყოფს პერსონალური კომპიუტერით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტიანია. აქედან 96 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის (მათ შორის, 30 კრედიტი კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი) და 24 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის. პროგრამის მიზნებში ხაზგასმულია ერთის მხრივ სწავლების, კვლევისა და ანალიზის მეთოდების მნიშვნელობა, სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების მისაღწევად, მეორეს მხრივ, ფუნდამენტური დოკუმენტების მომზადების საფუძვლიანი ცოდნა და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის უნარი, რაც თავის მხრივ, შესაბამისობას ქმნის პროგრამის შედეგებში გაწერილ უნარებთან: „მონაწილეობა ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სექტორის უწყებების სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავება“, „ეროვნული უსაფრთხოების სფეროში რეკომენდაციებისა და ინიციატივების“ წარმოდგენა. ონლაინ განხორციელებული ვიზიტის დროს, ასევე განმარტებულ იქნა, რომ მომიჯნავე პროგრამისგან განსხვავებით (რომლის ძირითადი მიზნები ანალიზის უნარზეა ორიენტირებული), წარმოდგენილი პროგრამისგან დამკვეთი (სახელმწიფოს სახით) და განმახორციელებლები სწორედ პრაქტიკული უნარების განვითარებას მოელიან (სხვადასხვა ტიპის სტრატეგიული დოკუმენტების შედგენაში მონაწილეობა და არსებული დოკუმენტების ექსპერტიზა). პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია, ასახავს სასწავლო პროგრამის საფეხურის მოთხოვნებს, შეესაბამება დაწესებულების მისიას, ითვალისწინებს დარგისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. მიზნები არ აკეთებს აქცენტს ინტერნაციოლიზაციასა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებზე, თუმცა შეესაბამება სახელმწიფოს შიდა საჭიროებებს და დამკვეთის (სახელმწიფოს) მოლოდინებს. სასურველია მიზნების ფორმულირების რედაქტირება - მიზნების შინაარსობრივი დაყოფა

(მაგალითად, გაიწეროს პუნქტობრივად ან სხვა ნებისმიერი სასურველი მეთოდის გამოყენებით) სასწავლო მიზნების უფრო ნათლად აღსაქმელად.

სასურველია სასწავლო პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ასახვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ ვებ-გვერდი
- უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, განხორციელების, შეფასებისა და დამტკიცების წესი
- აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია პროგრამის მიზნების ფორმულირების რედაქტირება, მიზნების შინაარსობრივი დაყოფა პროგრამის სასწავლო მიზნების უფრო ნათლად აღსაქმელად.
2. სასურველია სასწავლო პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ასახვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო პროგრამის შედეგები გაწერილია სამ კომპონენტად: ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ცოდნა-გაცნობიერების და უნარების ნაწილი შესაბამისია პროგრამის მიზნებში დასახულ ამოცანებთან და შეესაბამება: კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების პროცესში დადასტურდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შედეგების შემუშავებაში.

- უსდ-ის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი ასახავს ყველა იმ მოთხოვნას და პროცედურას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გეგმიურ, ეტაპობრივ, გამჭვირვალე შეფასებას და მიღებული შედეგების ასახვას პროგრამის გაუმჯობესებისთვის.
- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მესამე კომპონენტი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა ძირითადად სტუდენტის მიერ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვაზე აკეთებს აქცენტს; აღნიშნული კომპონენტის უკეთ ფორმულირებისთვის აუცილებელ ფრაზებს ვხვდებით პროგრამის აქტუალობის, პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ ასპექტებში: ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება და კომპლექსური პრობლემების

გადაწყვეტა (ჩანაწერი გვხვდება პროგრამის აქტუალობის ნაწილში); კვლევითი მიზნების მიღწევა (პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს 30 კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს). ასევე, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა არ არის შესაბამისობაში პროგრამის შედეგების უნარების ნაწილში გაწერილ ზოგიერთ უნართან: უსაფრთხოების დაგეგმვაში იღებს აქტიურ მონაწილეობას; წარმოადგენს რეკომენდაციებსა და ინიციატივებს; მონაწილეობას იღებს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სექტორის უწყებების სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავებაში. რეკომენდებულია, შეიცვალოს პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილის ფორმულირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი ○ აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია შეიცვალოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილის ფორმულირება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე, და სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი წინაპირობები და პროცედურები.
- დარგის სპეციფიკიდან და უსდ საქმიანობისა და მისიიდან გამომდინარე, მიღების წინაპირობაში გათვალისწინებულია კვოტირების სისტემა უსდ რეგულაციების დაცვით.
- პროგრამაზე მსურველთა მიღების გამოცხადების შემთხვევაში სასურველია სპეციალობის მისაღები საგამოცდო ტესტი ასახავდეს პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრული სასწავლო კურსების დაძლევისთვის აუცილებელ დარგობრივ ცოდნას და კვლევით უნარებს. ინტერვიუების პროცესში აღნიშნულ იქნა, რომ სასწავლო კურსებში ჩართული საბაზისო საკითხები და საბაზისო საკითხების ამსახველი ლიტერატურა გამოყენებულია საჭიროების გამო, რადგან წინაპირობები არ არის შეზღუდული დარგობრივი ნიშნით. აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მისაღების ტესტის გამკაცრების საფუძველზე. სასურველია ტესტისთვის მომზადების ინსტრუქცია (შესაბამისი ლიტერატურის სიის წარმოდგენით) და ტესტის შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს დეტალურად და იყოს წვდომადი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სპეციალობის მისაღები საგამოცდო ტესტის შედგენის პროცესში გათვალისწინებულ იქნას, რომ ტესტი ასახავდეს პროგრამის სტრუქტურით

განსაზღვრული სასწავლო კურსების დაძლევისთვის აუცილებელ დარგობრივ ცოდნას და კვლევით უნარებს, სასურველია ტესტისთვის მომზადების ინსტრუქცია და ტესტის შეფასების კრიტერიუმები გაიწეროს დეტალურად და იყოს წვდომადი ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს ○ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსებს

(96 ECTS, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი 30 ECTS) და არჩევით სასწავლო კურსებს (24 ECTS). სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა ფიქსირდება სტრუქტურული ხარვეზებიც: პროგრამის შედეგების უნარების კომპონენტში აქცენტი კეთდება საერთაშორისო სამართლის ცოდნაზე („საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონაწილეობას იღებს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სექტორის უწყებების სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავებაში“) და რეგიონალიზმზე („არგუმენტირებულად განიხილავს, აფასებს და სიღრმისეულად აანალიზებს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების ძირითად პრინციპებს;“). თუმცა პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის სწავლება (არჩევით ნაწილში მოცემულია „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი“), ხოლო რეგიონალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გვხვდება მხოლოდ ერთი სავალდებულო სასწავლო კურსი „შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება“, რომლის შინაარსი უფრო მეტად ისტორიული მიმოხილვის ხასიათს ატარებს, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების თანამედროვე პროექტებს კი მხოლოდ ორი თემა ეძღვნება. ასევე, სასწავლო კურსი არ მოიცავს რეგიონალიზმის/რეგიონალური უსაფრთხოების თეორიულ მიმოხილვას. სასწავლო კურსი „ევროპის უსაფრთხოება“ გვხვდება სამაგისტრო პროგრამის არჩევით ნაწილში. პროგრამის არჩევითი ნაწილის სხვა სასწავლო კურსები ასევე ითვალისწინებს რეგიონალური უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების მიმოხილვას. უნდა განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის ცვლილება საერთაშორისო სამართლის და რეგიონული უსაფრთხოების სასწავლო კურსების დამატებით და/ან არჩევითი ნაწილიდან გადმოტანით და/ან არსებულ სასწავლო კურსებში აღნიშნული თემატიკის გაძლიერებით პროგრამის შედეგებთან შესაბამისობისთვის.
- პროგრამის შედეგები ითვალისწინებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს. პროგრამის წარმოდგენილი სტრუქტურა ვერ ადასტურებს შედეგის ამ კომპონენტზე გასვლას. უნდა მოხდეს პროგრამის სტრუქტურის ცვლილება

აღნიშნულ შედეგთან შესაბამისობისთვის. მაგ. დაემატოს სავალდებულო პრაქტიკა არსებული/ახალი მემორანდუმების საფუძველზე, და/ან აქცენტი გაკეთდეს კვლევითი კომპონენტზე და/ან გაძლიერდეს არსებული სასწავლო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, და/ან დაემატოს დაემატოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი სხვა სავალდებულო სასწავლო კურსებს სილაბუსებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებით, და/ან ნებისმიერი სხვა ფორმით.

- სწავლის შედეგების უნარების კომპონენტში აქცენტი გაკეთებულია ეროვნული და საერთაშორისო სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პრაქტიკულ უნარზე, რეკომენდაციებისა და ინიციატივების მომზადებაზე, თუმცა, პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული მსგავსი უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელი სასწავლო კურსი.
- შეკითხვას ბადებს სასწავლო კურსების: „სახელმწიფო უსაფრთხოება“ და „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, რომელთა შინაარსი ზოგადი სქემებისა და თეორიების მიმოხილვას წარმოადგენს, მესამე სემესტრში განთავსება. აღნიშნულ სასწავლო კურსს წინ უძღვის: „სტრატეგიის საფუძვლები“ (რომლის მიზნებში იკითხება სტრატეგიის თეორიული მოდელების გათვალისწინება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში, ხოლო შედეგებში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზი); „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ (სემესტრი 1); „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“; „რუსეთის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება“; „შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება“ (სემესტრი 2). უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურა და ზოგადი თეორიული სასწავლო კურსები წინ უძღოდეს ქვეყნის/რეგიონის უსაფრთხოების შემსწავლელ სასწავლო კურსებს.
- სასწავლო პროგრამის აქტუალობის ნაწილში აქცენტი კეთდება: „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებათა კოორდინირებული მუშაობით [კურსდამთავრებულებს] შეეძლებათ უზრუნველყონ მოსალოდნელი კრიზისის პროგნოზირება და თავიდან აცილება, ხოლო კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში – მისი ნეგატიური შედეგების უმოკლეს დროში ლიკვიდაცია ან მინიმუმამდე შემცირება“. სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული არც ერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს მსგავსი უნარის გამომუშავებას.

სასურველია, პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსის სახით შესაბამისი სასწავლო კურსი, ან არსებული/სამომავლო მემორანდუმების საფუძველზე მოკლევადიანი პრაქტიკის შესაძლებლობა აღნიშნული უნარის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: **1.** უნდა განხორციელდეს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის ცვლილება საერთაშორისო სამართლის და რეგიონული უსაფრთხოების სასწავლო კურსების დამატებით და/ან არჩევითი ნაწილიდან გადმოტანით და/ან არსებულ სასწავლო კურსებში აღნიშნული თემატიკის გაძლიერებით პროგრამის შედეგებთან შესაბამისობისთვის. **2.** სამაგისტრო პროგრამის შედეგები ითვალისწინებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს. პროგრამის წარმოდგენილი სტრუქტურა ვერ ადასტურებს შედეგის ამ კომპონენტზე გასვლას. უნდა მოხდეს პროგრამის სტრუქტურის ცვლილება აღნიშნულ შედეგთან შესაბამისობისთვის. **3.** პროგრამის სტრუქტურას უნდა დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამის შედეგებში ასახული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების, რეკომენდაციებისა და ინიციატივების მომზადების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს. **4.** უნდა გასწორდეს პროგრამის სტრუქტურა: ზოგადი თეორიული სასწავლო კურსები წინ უნდა უძღოდეს ქვეყნის/რეგიონის უსაფრთხოების შემსწავლელ სასწავლო კურსებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული არც ერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსი არ ითვალისწინებს სასწავლო პროგრამის აქტუალურობის ნაწილში ხაზგასმული უწყებათა კოორდინირებული მუშაობით კრიზისზე რეაგირების უნარის გამომუშავებას. სასურველია, პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსის სახით შესაბამისი სასწავლო კურსი და/ან არსებული/სამომავლო მემორანდუმების საფუძველზე მოხდეს მოკლევადიანი პრაქტიკის დაგეგმვა, როგორც კურიკულუმის ნაწილი, ან კურიკულუმს

მიღმა აქტივობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. ○ თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია; საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა

ძირითადად ადეკვატურია;

- 5 კრედიტიან სასწავლო კურსში „დაზვერვის საფუძვლები“ მხოლოდ 33 საკონტაქტო საათია, აქედან მხოლოდ 2 საათია სემინარისთვის გამოყოფილი, რაც არ შეესაბამება თავად სასწავლო კურსის შედეგებს და შეფასების კრიტერიუმებს.
- სასწავლო კურსების შინაარსი ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ სათაური, მიზნები, შედეგები არ შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება სათაურს, შინაარსის ნაწილი გადაფარვას ახდენს სასწავლო კურსის „სახელმწიფო უსაფრთხოება“ შინაარსთან: სასწავლო კურსის შინაარსის ძირითადი ნაწილი ეთმობა საშინაო და საგარეო უსაფრთხოების თეორიულ მიმოხილვას, საქართველოს თემა იწყება მხოლოდ მე-10 კვირიდან. სასწავლო კურსის შინაარსი და ლიტერატურა უფრო მეტად ასახავს საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების თემატიკას. უნდა მოხდეს სასწავლო კურსის „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ რევიზია - სათაური, მიზნები და შედეგები, შინაარსი, გამოყენებული ლიტერატურა უნდა იყოს ლოგიკურ ბმაში და არ ახდენდეს სხვა სასწავლო კურსის თემატურ გადაფარვას.
- სავალდებულო სასწავლო კურსებში „სტრატეგიის საფუძვლები“, „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, არჩევით სასწავლო კურსში „საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი“ შედეგებში ხაზგასმულია პრაქტიკული უნარები (სტრატეგიული დოკუმენტების შედგენა, სამხედრო გადაწყვეტილებების პროცესის მონიტორინგი და ოპერატიული დიზაინის დაგეგმვა, თავდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვა,რეკომენდაციებისა და წერილობითი მოხსენებების მიწოდება საექსპერტო წრეებისთვის, კრიზისულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღების უნარი და სხვ.), რაც უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებზე გასვლას და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავებას, თუმცა აღნიშნული სილაბუსების სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კომპონენტები ნაკლებად ემსახურება აღნიშნულ შედეგებზე გასვლას. უნდა მოხდეს სასწავლო კურსების რევიზია შედეგებთან შესაბამისობისთვის.
- სასწავლო კურსი „საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი“ მიზნად განსაზღვრავს სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობას, შედეგში

განსაზღვრულია „სამხედრო გადაწყვეტილებების“ პროცესი და ოპერატიული დიზაინი. სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების მექანიზმები არ იძლევა აღნიშნულ შედეგზე გასვლის საშუალებას. გარდა ამისა, კურსის სათაური ნაკლებად შეესაბამება კურსის შინაარსს - როგორც შინაარსი, ასევე მითითებული ლიტერატურა ზოგადი ხასიათისაა, აქცენტს აკეთებს საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ზოგად პრობლემებზე, მხოლოდ ერთი სასწავლო თემა ეხება ჩაღრმავებით საერთაშორისო ორგანიზაციებს, და ისიც განიხილავს საფინანსო ორგანიზაციებს. უნდა მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის რევიზია, კურსის სათაური, მიზნები, შედეგები, მეთოდები, შეფასების კომპონენტები, შინაარსი და ლიტერატურა უნდა იყოს ლოგიკურ ბმაში.

- ზოგიერთი სასწავლო კურსის სათაური და მიზანი აქცენტს აკეთებს დარგის საფუძვლებზე და/ან თანდართულია დარგის შესავალსა და საფუძვლებზე ორიენტირებული ლიტერატურა, რაც არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს, სასწავლო კურსების შედეგებს, უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. უნდა მოხდეს შემდეგი სასწავლო კურსების „დაზვერვის საფუძვლები“, „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“, „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, „სახელმწიფოს უსაფრთხოება“, „ცივი ომი“ რევიზია ამ მიმართულებით.
- კვლევითი უნარების განვითარებისთვის და სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად მნიშვნელოვანია ორი სავალდებულო სასწავლო კურსი, „აკადემიური წერა“ (ნაშრომის სტრუქტურული აგება) და „კვლევის მეთოდები“ (კვლევის პროცესის წარმართვა).
- სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ორიენტირებულია ესსეს შექმნისა და პრეზენტირების უნარის გამომუშავებაზე,. „აკადემიური წერის“ მიზანი უნდა იყოს, სტუდენტს შეასწავლოს, თუ როგორ ააგოს სამაგისტრო ნაშრომი და რა ეტაპები უნდა გაიაროს მან თეზისის წარმატებით დასრულებამდე. სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტმა უნდა აითვისოს კვლევის დიზაინის კომპონენტები (საკითხის აქტუალობა, ლიტერატურის მიმოხილვა, საკვლევი კითხვის დასმა, ჰიპოთეზა, თეორიული ჩარჩო, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა და ა.შ.). შესაბამისად, უნდა შეიცვალოს აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანი. „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი უნდა უვითარებდეს სტუდენტს სამეცნიერო

ელ-ბაზების გამოყენების უნარებს და შესაბამისად, სასწავლო კურსის შინაარსი უნდა ასახავდეს კონკრეტული ელ-ბაზების მიმოხილვას. სასწავლო კურსის შინაარსში ჩართული სასწავლო ვიზიტი ბიბლიოთეკაში შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად და ამას არ დაეთმოს 3 საათი, ან განხორციელდეს როგორც კურიკულუმს მიღმა აქტივობა. (იხ. სასწავლო კურსის მეორე თემა: სემინარი/ვიზიტი - „სასწავლო ვიზიტი: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში"). მნიშვნელოვანია, აღნიშნულ სასწავლო კურსის *სწავლის შედეგებს* დაემატოს კომპონენტი - *პასუხისმგებლობა და ავტონომია.* აღნიშნულ სასწავლო კურსთან მიმართებაში უნდა მოხდეს ლიტერატურის გადახედვა. სტუდენტისათვის უნდა იყოს შეთავაზებული აკადემიური ლიტერატურა, რომელიც უშუალოდაა ორიენტირებული სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაზე. სასწავლო კურსი „აკადემიური წერა" შედგება 14 ლექციისაგან (აქედან 3 გამოცდაა: შუალედური, დასკვნითი და დამატებითი და რეალურად, სწავლებას ეძღვნება 11 ლექცია). სამაგისტრო პროგრამის კურსებში საკონტაქტო საათების რაოდენობა და ლექცია-სემინარების თანაფარდობა არ არის უნიფიცირებული (უსდ შიდა რეგულაციების საფუძველზე) და შესაძლებელია ცვლილებების განხორციელება. უნდა გაიზარდოს აღნიშნული სასაწავლო კურსის საკონტაქტო საათების რაოდენობა.

- არჩევითი სასწავლო კურსი „ცივი ომი" გვთავაზობს მრავალფეროვან და საინტერესო თემატიკას, ცივი ომის სიღრმისეულ განხილვას, თუმცა სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული ლიტერატურა (სულ 4 ერთეული) ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული თემატიკის დაფარვას. ასევე ფიქსირდება საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურისთვის არასასურველი სახელმძღვანელოს გამოყენება (Robert Macmahon- ''The Cold War: A Very Short Introduction'' Oxford 2003). უნდა მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის გამრავალფეროვნება და კურსის შინაარსთან სრული მისადაგება.
- სავალდებულო სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები" (ჯამში 18 ლექცია, აქედან 3 გამოცდა) წარმოდგენილი თემებით ფაქტიურად არის ორი კურსის: *კვლევის დიზაინისა და კვლევის მეთოდების* კომბინაცია. პირველი თავი სტუდენტს აცნობს კვლების მეთოდებს სოციალურ მეცნიერებაში, მეორე კი - პროცესის ძირითად

ელემენტებს; მე-5 ლექცია ეხება შემთხვევის შესწავლას, მე-10 ლექციაში გაერთიანებულია „ კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომები“ (სასურველია *მიდგომები* ჩანაცვლდეს *მეთოდოლოგიებით*); მითითებული ლიტერატურის მიხედვით, ესაა თვისებრივი და რაოდენობრივი (აღწერითი სტატისტიკური) ანალიზი; მე-11 ლექციის თემის სათაურია „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, მე-12 ლექციის თემაა - მონაცემთა ანალიზი. საკითხავი მასალის პირველი ნაწილი ეხება მონაცემების შეგროვებას თვისებრივი მეთოდებით და მეორე ნაწილი კი, მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს (სტატისტიკური ანალიზით). დანარჩენი ლექციები კვლევის დიზაინიცაა და მეთოდოლოგიაც, მაგრამ უფრო დიზაინი. იმ შემთხვევაში, თუ „აკადემიური წერის“ კურსი კონცენტრირდება კვლევის დიზაინის თემებზე, კვლევის მეთოდების (ტერმინი *მეთოდები* სჯობს ჩანაცვლდეს *მეთოდოლოგიებით*) სასწავლო კურსი უნდა დაეთმოს თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიებს და მათ მეთოდებს. კარგი იქნება, თუ სტრუქტურულად სილაბუსი აეწყობა შემდეგნაირად: თვისებრივი მეთოდები (ტაქტიკები) შესწავლილი იქნეს თვისებრივი მეთოდოლოგიის ქოლგის ქვეშ, ხოლო რაოდენობრივი მეთოდები (ტაქტიკები) - რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ქუდის ქვეშ. აღნიშნული სასწავლო კურსის *სწავლის შედეგების* კონპონენტებს უნდა დაემატოს *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა,* განსაკუთრებით კვლევის მიმართულებით, ზემოთ მითითებული მიზნის მისაღწევად.

- როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში მრავლობითად ფიქსირდება ლიტერატურის გაუმართავი მითითება (არ ახლავს გამოცემის წლები; გაუგებარია რა ენაზეა ორიგინალი; არ აღიქმება დოკუმენტია, მონოგრაფია თუ სტატია; ოფიციალურ დოკუმენტებს არ ახლავს ლინქები...). უნდა მოხდეს სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამართვა ლიტერატურის მითითების აკადემიური წესის დაცვით. იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე მოითხოვს მიმდინარე უახლესი ინფორმაციის გაცნობას, უნდა დაერთოს სხვადასხვა აქტუალური ინტერნეტ ლინქები ძირითად და/ან დამხმარე ლიტერატურაში. მაგ. სხვადასხვა ეროვნული/საერთაშორისო უწყებების, ორგანიზაციების, პროექტების ოფიციალური ვებ-გვერდები; საერთაშორისო და ეროვნული მედია-აუთლეთების

ვებგვერდები; კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვა.

- იმ სასწავლო კურსებში, რომლის სწავლის შედეგები ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდების და შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება, აღნიშნული შედეგის მისაღწევად.
- მისასალმებელია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო/არასაკონტაქტო საათების, ასევე ლექცია/სემინარების თანაფარდობის არაუნიფიცირებული სახე, თუმცა სასურველია გადაიხედოს არსებული პრაქტიკა სასწავლო კურსის საჭიროებიდან გამომდინარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (და მასში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები)
- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

1. უნდა განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებები შემდეგ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში: „დაზვერვის საფუძვლები“, „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“, „სტრატეგიის საფუძვლები“, „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, „სახელმწიფოს უსაფრთხოება“, „აკადემიური წერა“, „კვლევის მეთოდები“, „საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების ანალიზი“, „ცივი ომი“.
2. უნდა მოხდეს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამართვა ლიტერატურის მითითების აკადემიური წესის დაცვით. სავალდებულო/არჩევით სასწავლო კურსებში, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე მოითხოვს მიმდინარე უახლესი ინფორმაციის გაცნობას, უნდა დაერთოს სხვადასხვა აქტუალური ინტერნეტ ლინქები ძირითად და/ან დამხმარე ლიტერატურაში.
3. სავალდებულო/არჩევით სასწავლო კურსებში, რომლის სწავლის შედეგები ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, უნდა მოხდეს სწავლება-სწავლის მეთოდების და შეფასების კომპონენტების გამრავალფეროვნება, აღნიშნული შედეგის მისაღწევად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მისასალმებელია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო/არასაკონტაქტო საათების, ასევე ლექცია/სემინარების თანაფარდობის არაუნიფიცირებული სახე, თუმცა სასურველია აღნიშნული თანაფარდობის დადგენა მოხდეს უპირველეს ყოვლისა სასწავლო კურსის საჭიროებიდან გამომდინარე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების, ასევე ლექცია/სემინარების თანაფარდობის არაუნიფიცირებული სახე. ○ ინგლისურენოვანი ლიტერატურის მრავლობითი გამოყენება როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებში, როგორც სავალდებულო, ასევე დამატებით ლიტერატურაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, უსდ რეგულაციების, დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის (მათ შორის, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი, ჩატარებული კონფერენციებისა და გამოქვეყნებული პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), ასევე აკრედიტაციის ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების განხილვა, სამაგისტრო სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება) საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსდ ვებგვერდი ○ უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;
- თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, თუმცა წარმოდგენილი მეთოდები საკმაოდ მწირი და ერთფეროვანია.
- უნდა მოხდეს სწავლა-სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება სასწავლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობისთვის. უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე და ინოვაციური სწავლების მეთოდების გამოყენება; პროგრამის შედეგებში ხაზგასმულია სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობის უნარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (და მასში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები)
- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

უნდა მოხდეს სწავლა-სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება სასწავლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება მეტწილად ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო

კურსების სილაბუსებისა და გამოცდების ჩატარების წესის მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესე, პრეზენტაცია და ა.შ) გამოკითხვა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის სილაბუსების დიდ ნაწილში გვხვდება ანალოგიური შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები, რის გამოც, **რეკომენდებულია,** რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებულ იქნეს ერთმანეთისგან განსხვავებული რუბრიკები და კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მეტწილად მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები მეტწილად იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, **რეკომენდებულია** სასწავლო-კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების“ სილაბუსში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი - აქტიურობა/ სემინარებსა და დისკუსიებში მონაწილეობა ფასდება 20 ქულით, თუმცა შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულათა ჯამი უდრის 26 ქულას. ასევე, სასწავლო კურსის „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის“ სილაბუსის მიხედვით ქვიზი ფასდება 20 ქულით, თუმცა რუბრიკაში შეფასება წარმოდგენილია 10 ქულის სახით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია გასწორდეს სამაგისტრო პროგრამაში და სილაბუსში მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და ის შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან და დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქციასთან, თუმცა ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით, უსდ წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განგვიმარტეს, რომ დაშვებულია ტექნიკური შეცდომა.

ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ერთ გარემოებაზე, სასწავლო კურსი: „კვლევის მეთოდები“ ორიენტირებულია სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განმტკიცებაზე, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების მომზადება - პრეზენტაცია, მხოლოდ 10 ქულით ფასდება, ხოლო 90 ქულა თეორიული ცოდნის შეფასებაზე ნაწილდება. შესაბამისად, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი **რეკომენდებულად** მიიჩნევს აღნიშნულ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან მინი კვლევითი ნაშრომის ან კვლევის გეგმის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია სილაბუსში უკვე არსებული მეთოდების გამოყენება.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა, რომ პროგრამის პერსონალი შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, ინტერვიუს პროცესში რამდენიმე აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა მსგავსი მხარდაჭერა, თუმცა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არაა მოცემული CV-ებში და არც პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალში, შესაბამისად, **რეკომენდებულია** უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალისთვის ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა.

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, არსებობს ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. ამასთან, სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ფასდება ერთჯერადად ნაშრომის დასრულების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება რეცენზენტის, ხელმძღვანელისა და კომისიური წესით ჯამში 100 ქულით, საკვალიფიკაციო ნაშრომი ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა: ვერბალური კომუნიკაცია, წერითი კომუნიკაცია, ანალიზი და დასკვნები, სამეცნიერო ღირებულება, დაცვის პროცესში კითხვებზე პასუხების გაცემა , საკუთარი პოზიციის დასაბუთება და ტერმინოლოგიის ფლობა. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებაში უარყოფითი შედეგის „F“ (ჩაიჭრა) და/ან დამატებით გამოცდაზე კვლავ „FX“-ის (ვერ ჩაბარება) მიღების შემთხვევაში, იუნკერის საკითხი პროგრამიდან

ამორიცხვის თაობაზე გადაეცემა აკადემიის აკადემიურ საბჭოს, შესაბამისად, **სასურველია** სტუდენტს მიეცეს დამატებითი სემესტრის გავლის უფლება. აღსანიშნავია, რომ პლაგიატის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით უსდ-მ დაინერგა პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin).

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე მომიჯნავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული პორტალი, ასევე როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც ასევე დაადასტურეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

უსდ-ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცვას შეფასების შედეგების ანალიზსა და მის გამოყენებას სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და დაცვის ინსტრუქცია;
- უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების წესი;

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებულ იქნეს ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმები და რუბრიკები.
2. სასწავლო-კურსების „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა“ და „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის“ სილაბუსებში შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში მოვიდეს კურსების შეფასების სისტემასთან.
3. სავალდებულო სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებაზე; ფინალური თეორიული გამოცდა ჩანაცვლდეს დამოუკიდებელი მინი კვლევითი ნაშრომით ან კვლევის გეგმით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას.
4. უსდ-მ პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარების განვითარებისათვის უზრუნველყოს ქმედითი მხარდამჭერი მექანიზმების დანერგვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სამაგისტრო ნაშრომში ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს მიეცეს დამატებითი სემესტრის გავლის უფლება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან, მომიჯნავე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან,

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რის შესახებ ინფორმაციაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ. როგორც სააუდიტორიო სწავლების პერიოდში, ასევე ონლაინ სწავლების რეჟიმში აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას.

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მოქმედებს იუნკერთა სერვისები, რომლის ფარგლებშიც ყველა დაინტერესებულ პირს ეძლევა დეტალური ინფორმაცია, როგორც აკადემიური მიმართულებით, ისე სამხედრო ცხოვრებისა და სწავლების მიმართულებით. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით, უნივერსიტეტის მხრიდან კი მომიჯნავე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინანსური ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ანალოგიურად ექნებათ მხარდაჭერა, რათა ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებსა და მობილობაში.

მისასალმებელია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ყველა სტუდენტი საჩუქრად იღებს პერსონალურ კომპიუტერს, რაც სამომავლოდ მათ სასწავლო და აკადემიურ საქმიანობაში გამოადგებათ.

აღსანიშნავია, რომ აკადემიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას, ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. აგრეთვე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში.

მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და

პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა; ○ პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უსდ ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მისასალმებელია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც უსდ სტუდენტს უზრუნველყოფს პერსონალური კომპიუტერით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის მიხედვით, ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიის აკადემიური პერსონალი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი, ასევე ნაშრომის ხელმძღვანელად, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება დამტკიცდეს დოქტორის ხარისხის არმქონე პირი, რომელიც გამოირჩევა დარგში მოღვაწეობის დიდი პრაქტიკული გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით. ამასთან, **რეკომენდებულია** აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ დოკუმენტურად დადასტურებული შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი. აღნიშნულის შესაძლებლობა არ ფიქსირდება უსდ-ის მაგისტრატურის დებულებაში. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენისა და დაცვის ინსტრუქციის მიხედვით, მაგისტრანტი საკუთარი სურვილით ირჩევს თემას და თემის შესაბამისად ხელმძღვანელს. ამასთან, მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია კონსულტაციები გაუწიოს იუნკერს თემის შერჩევაში, მისცეს რეკომენდაციები გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და რეკომენდაციები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში მისცეს რეკომენდაციები მისი კორექციისთვის და შეაფასოს იუნკერის მიერ გაწეული მუშაობა შესაბამის სილაბუსში მოცემული წესით. უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და

დაცვის ინსტრუქცია; ○ სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის დებულება; ○ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ○ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უსდ ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად სტუდენტებს ჰქონდეთ დოკუმენტურად დადასტურებული შესაძლებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში საჭიროების შემთხვევაში ჰყავდეს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დასტურდება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის ფარგლებში ასევე დასტურდება

მოწვეული ლექტორების კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია და დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით (პუბლიკაციები, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები). ცალკე აღნიშვნას იმსახურებს აკადემიური პერსონალის პრაქტიკული გამოცდილება. მიუხედავად ზემოთთქმულისა, სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების წამკითხავი სადოქტორო ხარისხის მქონე და/ან დოქტორანტი ლექტორები. პრაქტიკული გამოცდილება დასაფასებელია, თუმცა სამაგისტრო პროგრამისთვის, რომელიც სტუდენტებს ძირითადად თეორიულ, მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებულ სასწავლო კურსებს სთავაზობს, მნიშვნელოვანია აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის ჩართულობა. ამასთან, სტუდენტმა პროგრამა უნდა დაასრულოს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შექმნილი სამაგისტრო ნაშრომით. უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 10 აკადემიური პერსონალი (4 აფილირებული პროფესორი, 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი), 1 ინსტრუქტორი და 8 მოწვეული პერსონალი. უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში, პროცესების ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მომსახურების მიზნით ჩართულია თავდაცვის აკადემიის ექვსი ადმინისტრაციული პერსონალი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი მომზადებულია შეასრულოს მათთვის დაკისრებული მოვალობა და ხელი შეუწყოს პროგრამის წარმატებით განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV -ები, ○ პუბლიკაციები;

- კონფერენციებში მონაწილეობის დოკუმენტები;
- თვითშეფასების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების წამკითხავი სადოქტორო ხარისხის მქონე ან დოქტორანტი ლექტორები, რაც გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური,

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება თავდაცვის აკადემიაში ხორციელდება ორი მიმართულებით: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური (სააუდიტორიო) საქმიანობა. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის კვლევა; ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლები აფასებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ლექციის ჩატარების ტექნიკურ მხარეს: რამდენად მომზადებულია ლექტორი, იყენებს თუ არა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რამდენად ეფექტურად მიყავს ლექცია, შეუძლია სტუდენტების დანტერესება და მათი ჩართულობა. აკადემიური პერსონალის ლექციის შინაარსობრიობას აფასებენ მათივე კოლეგები (კოლეგიალური შეფასება). ხდება ლექციაზე დასწრება და კონკრეტულად შეფასებისათვის შედგენილი კითხვარის შევსება. შედეგების ანალიზი ხდება ყოველი სემესტრის ბოლოს. პრობლემის დადგენის შემთხვევაში, ხდება რეაგირება და ზომების მიღება; დაკვირვება მიმდინარეობს 3-წლიანი პერიოდით. თავდაცვის აკადემია ზრუნავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამიტომ უსდ-ში პერიოდულად ტარდება ტრენინგები სწავლება-სწავლის მეთოდებსა და კვლევის მეთოდოლოგიის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ უსდ თანამშრომლობს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამასთან (Defence Education Enhancmeent Programme, DEEP) და ნატოს აღნიშნული პროგრამის დახმარებით, აკადემიის თანამშრომლებისთვის ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები. ტრენინგებს უძღვებიან დარგის ქართველი და უცხოელი პროფესიონალები. მნიშვნელოვანია ნატო-ს ენების საერთაშორისო საკოორდინაციო ბიუროს (BILC) ჩართულობა აკადემიის ინგლისური ენის სწავლების მონიტორინგის პროცესში. BILC-ის ექსპერტთა ჯგუფი ჩამოდის გორში (აკადემიაში) და აფასებს ინგლისური ენის სწავლების მეთოდების ეფექტიანობას. თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ტარდება

აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და ინსტრუქტორთათვის ტრენინგები - ,,ეფექტური სწავლების“ მოდულის ფარგლებში, რომელის მიზანია დაინერგოს და გაძლიერდეს სწავლების ინოვაციური მეთოდები. თუმცა, წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსები უმეტესწილად არ ითვალისწინებს აღნიშნული ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას. სასურველია უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალს ჩაუტაროს დამატებითი ტრენინგი სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით. თავდაცვის აკადემია ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად. ამისათვის უსდ-ში დაფუძნდა კვლევითი ცენტრი. აკადემია, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, ფინანსურად უზრუნველყოფს პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას; ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნებას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ ჟურნალებში მისასალმებელია, რომ აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად უსდ-მ შეიმუშავა შინაგანაწესი, რომლის მიხედვით მოქმედებს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება, ფულადი ჯილდო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი; ○ შინაგანაწესი (http://eta.edu.ge/uploads/Documents/normatiuli_aqtebi/shinaganawesi.pdf); ○ სააუდიტორო სამუშაოზე დაკვირვების წესი; ○ ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის დოკუმენტი; ○ დოკუმენტი - სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი; ○ კონფერენციებში მონაწილეობა; ○ პუბლიკაციები; ○ მემორამდუმი DEEP-თან; ○ თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალს ჩაუტაროს დამატებითი ტრენინგი სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად თავდაცვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სასწავლო აუდიტორიები (მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებითა და პროექტორებით), ბიბლიოთეკა პროგრამისთვის აუცილებელი სასწავლო და კვლევითი ლიტერატურით, სტუდენტთათვის სამუშაო

სივრცე, საბუნებისმეტყველო მიმართულების სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორები, სამხედრო-სიმულაციური ცენტრები, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით. ეს უკანასკნელი (კომპიუტერული ლაბორატორია) მნიშვნელოვანია, რამეთუ უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის მიმდინარეობისას სტუდენტებს მოუწევთ კომპიუტერული ლაბორატორიის ხშირი გამოყენება.

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება გორში. პოტენციური სტუდენტები ისარგებლებენ ყველა არსებული ინფრასტრუქტურით (მათ შორის სპორტული და სატრენაჟორო დარბაზით, სარბენი ბილიკებით, რეკრეაციული ცენტრით, სასადილოთი, ლაზარეთით და სხვა). თავდაცვის აკადემიამ გაითვალისწინა პანდემიის გამო შექმნილი ახალი რეალობა და მიიღო ზომები აუცილებელ ონლაინ-სწავლებაზე გადასვლისათვის. მოხდა ინფორმაციის შეგროვება სტუდენტების (იუნკერების) საჭიროებების შესახებ და შესაბამისად მოხდა იუნკერების უზრუნველყოფა ლეპტოპებითა და ინტერნეტ-მომსახურებით.

თავდაცვის აკადემიას აქვს ორი ელექტრონული პლატფორმა. ILIAS (სამაგისტრო პროგრამებისთვის აკადემია გეგმავს პროგრამის ბლოკის ჩაშენებას არსებულ პლატფორმაში) მოემსახურება სტუდენტებს კურსების არჩევისას. ILIAS-ზე აიტვირთება სასწავლო მასალა, იქნება ლექტორთან კომუნიკაციის საშუალება. ამავე პლატფორმაზე მოხდება საგამოცდო და სხვა აქტივობის ქულების ატვირთვთა. ამასთან ILIAS-ით გავრცელდება ინფორმაცია აკადემიაში მიმდინარე ღონისძიებების, საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვა შესახებ. მეორე ელ-პლატფორმა, Moodle, უფრო მეტად გათვლილია ინდივიდუალურ მომსახურებაზე; თუმცა, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და ლექტორებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ეს პლატფორმაც საკამოდ ეფექტურად ოპერირებს.

თავდაცვის აკადემიაში შექმნილია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი, სადაც მომავალი სტუდენტები ჩააბარებენ შუალედურ და დასკვნით გამოცდებს. ცენტრი უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობის მაღალ ხარისხს, რაც სავარაუდოდ, გაზრდის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა სწავლის მოტივაციას.

თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური,

მოწვეული, სამეცნიერო თუ ადმინისტრაციული პერსონალის საბიბლიოთეკო რესურსებით მომსახურებას. ბიბლიოთეკა განთავსებულია თავდაცვიის აკადემიის ტერიტოტიაზე გორში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება აკადემიაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სავალდებულო აკადემიური თუ დამატებითი ლიტერატურისაგან. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ეხმარებიან სტუდენტებს კატალოგთან მუშაობაში. ამჟამად, ონლაინ-სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობის გამო, დაიწყო ონლაინ-კატალოგის შექმნა, რაც გაუადვილებს სტუდენტებს ბიბლიოთეკასთან დისტანციურ წვდომას. მიუხედავად არსებული გამოწვევისა, ბიბლიოთეკა მოწოდებულია მაქსიმალურად ეფექტურად მოემსახუროს იუნკერებს. E-mail-ის მეშვეობით, სტუდენტი უკავშირდება ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის თანამშრომელი ასკანერებს მოთხოვნილ მასალას და უგზავნის სტუდენტს. ლიტერატურის დიდი ნაწილი არსებობს ელ-ვერსიით (pdf ფორმატში).

კონკრეტულად უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამისათვის, მოხდა სილაბუსების გადაგზავნა ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეადგინეს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი საკითხავი ლიტერატურის სია. ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოხდა აღნიშნული აკადემიური წიგნების შესყიდვა. ონლაინ ვიზიტის პროცესში ბიბლიოთეკის უფროსთან ერთად შემოწმდა ბიბლიოთეკაში სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი წიგნი. წიგნები წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში.

პერიოდულად იგეგმება და ხორციელდება ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის ტრენინგები; ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში ახლადმიღებული სტუდენტებისათვის ეწყობა გაცნობითი საბიბლიოთეკო ტური. მათ აცნობენ, რას ფლობს ბიბლიოთეკა, როგორ გამოიყენონ კატალოგი და როგორ გამოითხოვონ სახელმძღვანელოები. Evergreen საბიბლიოთეკო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია წიგნის მოძებნა და დაჯავშნა. ამის შემდგომ ბიბლიოთეკარი დასკანერებულ ვერსიას უგზავნის სტუდენტს.

მიუხედავად არსებული შესაძლებლობებისა, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან განხორციელებული ონლაინ ინტერვიუების დროს არ დადასტურდა მათ მიერ აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენება. სასურველია, გააქტიურდეს აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენება.

ამჟამად თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს Scopus, Elsevier და Sciencedirect. აკადემია მონაწილეობს პროექტში, *ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის - eLFL*, 2017 წლიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე და ხელშეკრულების მიხედვით შეუძლია წვდომა ჰქონდეს მთელ რიგ ჟურნალებზე. ამასთან, იგივე პროექტი იძლევა საშუალებას 50% ფასდაკლებით ან უფასოდ გამოქვეყნდეს პუბლიკაციები ღია წვდომის ჟურნალებში. თუმცა, აკადემიური ელ-ბაზა საჭიროებს გაფართოებას. თავდაცვის აკადემია აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. იგეგმება EBSCO-ს შესყიდვა. მნიშვნელოვანია, ელ-ბაზების გამრავალფეროვნება. ელ-ბაზებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ აკადემიის ტერიტორიაზე, პანდემიის პირობებში სასურველია მოხდეს გადაწყობა აკადემიური ელ-ბაზების დისტანციურ რეჟიმში გაიოლებულ ხელწვდომაზე.

აღსანიშნავია, რომ თავდაცვის აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტებს აქვთ წვდომა ჩამოთვლილი ბიბლიოთეკების საწიგნო ფონდზე. სამაგისტრო პროგრამის დაწყებისთანავე, კურსების ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია, სტუდენტმა სავალდებულო საკითხავ სახელმძღვანელოსთან ერთად იკითხოს თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციები. სამაგისტრო თეზისზე მუშაობისას კი - აკადემიური ლიტერატურის გაცნობა აუცილებელი და სავალდებულოა. მისასალმებელია ჩამოთვლილ ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობა, მაგრამ ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანია ელ-ბაზების მეშვეობით თანამედროვე კვლევების გაცნობა მსოფლიოს მასშტაბით.

აკადემიამ იყიდა Turnitin – პლაგიატის პროგრამა 19 მარტს, 2021. ეს მნიშვნელოვანია, რადგან სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მოუწევთ კურსის ფარგლებში ესსეების წერაც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამაგისტრო ნაშრომის შექმნა. პლაგიატის პროგრამის შესახებ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას სწავლის დაწყების წინ. ამასთან აკადემიაში მოქმედებს პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეგულირების წესი, რომელსაც სტუდენტებს გააცნობენ ასევე სწავლის დაწყებისთანავე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის დათვალიერება (დისტანციურ რეჟიმში).
- ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან განხორციელებული ონლაინ ინტერვიუ.
- პროგრამის ხელმძღვანელთან განხორციელებული ონლაინ ინტერვიუ,
- Tutnitin – პლაგიატის პროგრამის ხელშეკრულება,
- დოკუმენტი -პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეგულირების წესი;
- ინტერვიუები მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და ლექტორებთან;
- თვითშეფასების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესება: ონლაინ-კატალოგის შექმნა, ელ-ბაზების გამრავალფეროვნება/გაფართოება, სტუდენტების წახალისება გამოიყენონ Evergreen შესაძლებლობები, აკადემიურ ელ-ბაზებზე დისტანციურ რეჟიმში წვდომა ონლაინ სწავლების პირობებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თავდაცვის აკადემიის უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო), საქონელი და მომსახურება (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, მივლინება, საოფისე ხარჯები), საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი, სხვა საქონელი და მომსახურება (კადრების მომზადება-გადამზადება, კვლაიფიკაციის ამაღლება; კონფერენციების სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრები; და სხვა), არაფინანსური აქტივების ზრდა (ძირითადი აქტივები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არაა კვალიფიცირებული...). ბიუჯეტის ყოველი კომპონენტი დეტალურადაა აღწერილი.

სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად დოტაციური ხასიათისაა. აკადემიის ადმინისტრაციასთან, სამაგიტროს ხელმძღვანელსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ეს კონკრეტული პროგრამა იყო თავდაცვის სამინისტროს შეკვეთა. სტუდენტები პროგრამაში სწავლის თანხას არ იხდიან. პირველ ეტაპზე გამოყოფილია 15 ადგილი (მოქმედებს კვოტირების სისტემა). პრიორიტეტი ენიჭება აკადემიის კურსდამთავრებულებს. ცხრა ადგილი გამოყოფილია იუნკერებისათვის და დარჩენილი, ექვსი, სამოქალაქო პირებისათვის (იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი ექვსი ადგილის მსურველი არ გამოჩნდა, შეივსება აკადემიის კურსდამთავრებულებით). სამომავლოდ, იგეგმება მისაღები კონტიგენტის გაზრდა. როგორ ზემოთ აღინიშნა,

სტუდენტები სწავლის გადასახადისგან გათავისუფლებულები არიან, შესაბამისად, პროგრამა სრულად იქნება დაფინანსებული თავდაცვის სამინისტროდან. ეს განაცხადი დაადასტურა დამსაქმებელმა - თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა. მომავალში იგეგმება პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და უცხოური უნივერსიტეტებიდან გრანტების მოპოვება. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ითვალისწინებს საერთაშორისო საუნივერსიტეტო ქსელის გაფართოებას; დახმარება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გააიოლებს დასახული გეგმის განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი; ○ ინტერვიუები აკადემიიის ადმინისტრაციასთან, სამაგისტროს ხელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, ○ ინტერვიუ დამსაქმებელთან, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან; ○ თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში, კონკრეტულად, კი უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის შიდა ხარისხს უზრუნველყოფს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელთანაც თანამშრომლობენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი. მათ დაგეგმეს საგანმანათლებლო პროგრამა, შეიმუშავეს შეფასების

კონკრეტული ინსტრუმენტები პროგრამის ეფექტიანი წარმართვისათვის. ხარისხის შეფასების შედეგების განხილვა და მათზე რეაგირება მნიშვნელოვანია სამაგისტრო პროგრამის გაუმჯობესებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უშუალოდაა ჩართული ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. მიზნებიდან გამომდინარე ის რთავს პროცესში დაინტერესებულ და პროცესისთვის საჭირო პირებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციები და მოვალეობები რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით, ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, თავდაცვის აკადემიის წესდებით და სხვა რეგულაციებით; სამსახური შესაფასებლად იყენებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სახელმძღვანელოებს. ამავდროულად, ხარისხის სამსახური ითვალისწინებს აშშ-ის თავდაცვის ძალების საგანმანათლებლო პროგრამების დოქტრინებს, ნორმატიულ დოკუმენტებს, სტანდარტებსა თუ რეკომენდაციებს (ESG) ხარისხის შიდა უზრუნველყოფისათვის. აკადემიის ხარისხის სამსახური მუშაობს შემდეგი მიმართულებით: ექსპერტიზა, მონიტორინგი + კვლევა და ტრენინგი. შიდა შეფასების პროცესში ჩართული არიან, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირები (მათ შორის ინსტრუქტორები), ისე დამსაქმებლები, იუნკერები და კურსდამთავრებულები. შეფასების პროცესში ჩართულობა გულსხმობს პირად შეხვედრებს და ინტერვიუებს (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი) და გამოკითხვის მეთოდს (მოქმედი იუნკერები და კურსდამთავრებულები). ორივე ფორმატის შედეგების შეფასებას და ანალიზს ახდებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შედეგებს რეაგირებისათვის უგზავნის შესაბამის სტრუქტურებს. ისინი, თავის მხრივ, წარადგენენ გეგმას შემდგომი ქმედებებისთვის, რათა გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ საქართველოს თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; ○ ონლაინ ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ლექტორებთან, მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აკრედიტაციას, რათა დაიხვეწოს და განვითარდეს უსაფრთხოების კვლევების ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის გარე შეფასება განახორციელა ნატოს სამხედრო განათლების განვითარების პროგრამამ (Defence Education Enhancmeent Programme, DEEP). გარე სამაქალაქო შემფასებელი იყო: შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“, *საქართველოს სტრატეგიული ანალიზის კვლევის ცენტრმა* (GSAC) და *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო*

ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS). ჩამოთვლილი ორგანიზაციების შეფასებით, პროგრამა მნიშნელოვან ადგილს დაიჭერს საქართველოს განათლების სისტემაში.

გარდა აღნიშნული განხორციელებული გარე შეფასებებისა, სასურველი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო უსდ-ს საერთაშორისო კავშირები და მომხდარიყო გარე შეფასება უცხოელი სამოქალაქო აკადემიური სფეროს ექსპერტის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საქართველოს თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან, უსდ ხარისხის სამსახურთან, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან;
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო უსდ-ს საერთაშორისო კავშირები და მომხდარიყო გარე შეფასება უცხოელი სამოქალაქო აკადემიური სფეროს ექსპერტის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განახორციელა/განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ: პროგრამის შეფასება განახორციელა J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტმა; წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობამ; საგანმანათლებლო პროგრამას სემესტრულად შეაფასებს ხარისხის სამსახური ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, ლექტორების მიერ ლექციის ეფექტურად ჩატარება; პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერილურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება და ა.შ. ამავდროულად, კურსის შინაარსობრივ მხარეს შეამოწმებენ აკადემიური პერსონალის წევრები. ისინი მოახდენენ ლექციების კონტენტის შეფასებას და გაუგზავნიან შედეგებს ხარისხის სამსახურს. ანალოგიურად წარედგინება მონიტორიგის სხვა ფორმატით ჩატარებული მოკვლევის შედეგად მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ზოგადად, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს აკადემიური

პერსონალის, როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოსაც. ამავდროულად, აღნიშნული სამსახური პერიოდულად აწყობს ტრენინგებს სწავლა/სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის სამსახური ყოველწლიურად აკეთებს ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ან ცვლის ან ამატებს უფრო ეფექტურ ინსტრუმენტს. რეალობიდან (პანდემია და ონლაინ რეჟიმზე გადასვლა) გამომდინარე, ხარისხის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა ონლაინ-პლატფორმის მეშვეობით მნიშვნელოვანი ლექცია/სემინარების ჩატარება. შეფერხების გარეშე მიმდინარეობს დისტანციური სწავლება. ხარისხის სამსახური პერიოდულად ატარებს, როგორც იუნკერების, ისე კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას; აწარმოებს დასაქმების ბაზრის კვლევას. აღნიშნული მექანიზმები ეხმარება უსდ-ს გამოწვევებთან გამკლავებაში. ახალი სამაგისტრო პროგრამაც მოექცევა ხარისხის სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ, რაც დახვეწს პროგრამას, გახდის მოქნილს და ეფექტურს. ეს კი საშუალებას მისცემს მას მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი, ○ საქართველოს თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, ○ ონლაინ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ დასაქმების ბაზრის ანალიზი; ○ კოლეგიალური შეფასების დოკუმენტი; ○ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის დოკუმენტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა/ MA Security Studies
აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ფავლენიშვილი 

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნიკა გიგაური